ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

სს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 20002180
"15" 09 2023
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

გვინდა მოგახსენოთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტრომომარაგების კუთხით არსებული ნეგატიური სურათი არ შეცვლილა და კვლავ პრობლემატური რჩება აღნიშნულ განაწილების არეალში საიმედო ელექტრომომარაგების, ქსელის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისა და გამანაწილებელ ქსელთან ახალი მომხმარებლების მიერთებების საკითხები, რაც გამოწვეულია აღნიშნულ განაწილების არეალში არსებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით და ელექტროენერგიის მოხმარების არაგონივრული ზრდით, რომლის თაობაზეც მიმდინარე და გასულ წლებში გეცნობათ კომპანიის არაერთი წერილით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, კვლავინდებურად ადგილი აქვს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიატს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების/სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში, კერძოდ, კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დღეის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავ მოუგვარებელია არსებული პრობლემები, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების" მე-18 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, გაზარდოთ დანართში მითითებული ობიექტების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდები.

თუმცა, აქვე გაცნობებთ, რომ თუ ამ წერილში მითითებული პრობლემები ვერ მოგვარდა ზემოხსენებულ ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის ქსელზე ახალი მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნება, რის გამოც, კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ რაოდენობიდან გამომდინარე, წერილის მატერიალური ფორმის ნაცვლად კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებლებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და შესაბამისი ლინკის (სადაც შესაძლებელია წერილის ელ. ვერსიის ნახვა) მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.

გთხოვთ, განიხილოთ მოცემული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 1 (ერთი) "Excel" ფაილი.

პატივისცემით,

ილია მათიაშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს წარმომადგენელი

შემსრ.: ლაშა ფოფხაძე
ტელ: 577-35-10-11;